

მმართველობის ანგარიშგება

შპს მისო ლენდო



2019 წელი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
საქმიანობის მიმოხილვა	4
მმართველობის ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია	4
ლიკვიდაცია	4
კომპანიის მისია, მიზნები და ამოცანები	4
გეოგრაფიული არეალი	4
კომპანიას ძირითადი პროდუქტები	5
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	5
ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა	8
ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები	9
კომპანიის განვითარების გეგმები	10
შვილობილის შესყიდვა	10
კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი	10
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	11
ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად**„შპს მისო ლენდოს“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას**

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 29 სექტემბერს. აუდიტირებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

29 სექტემბერი, 2020

შპს მისო ლენდო

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობის ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია

საქართველოს კანონის "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" მოთხოვნებიდან გამომდინარე, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო (შემდგომში „კომპანია“ ან „ლენდო“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2015 წლის 8 დეკემბერს და საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2016 წლის დასაწყისში. კომპანია რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404504844. ლენდო თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

კომპანიამ 2019 წლის 3 აპრილს შეირჩა შვილობილი „შპს ტიო“, რომელიც შეისყიდა 2018 წლის ბოლოს და ფლობს 100%-იან წილს. შპს ტიო შეძენის მომენტისთვის არ ეწეოდა საოპერაციო საქმიანობას.

დსს უნივერსალური საკრედიტო ორგანიზაცია "ვარკს ეიემ" (შემდგომში, „ლენდოს დედა კომპანია“) არის კომპანიას 100%-იანი წილის მფლობელი 2019 წლის ბოლოსთვის. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ლიკვიდაცია

2020 წლის 21 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მიერ გამოცემული N267 განკარგულების მიხედვით გაუქმდა, ორგანიზაციის მიკროსაფინანსოს რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით - 1140217, დაინიშნა ლიკვიდატორი და დაიწყო მისი ლიკვიდაციის პროცესი.

კომპანიის მისია, მიზნები და ამოცანები

კომპანიის მისიაა: მომხმარებელს შევთავაზოთ მაღალი ხარისხის, სწრაფი და მოქნილი საკრედიტო სერვისი. დახვეწილი საკრედიტო მომსახურების გზით ხელი შევუწყოთ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე მცირე და საშუალო კლიენტების სამომხმარებლო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

ძირითადი ამოცანა არის: გამჭვირვალე საკრედიტო სისტემის შექმნის გზით, ხელმისაწვდომი გახდეს მიკრო სესხები ადგილობრივი ფიზიკური პირებისათვის. შესაბამისად, კომპანიას მიზანია იყოს სტაბილურად მზარდი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

გეოგრაფიული არეალი

ლენდო სესხების გაცემას ახორციელებდა საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი, სენაკი, სამტრედია, ქუთაისი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გახსნილი ჰქონდა 12 ფილიალი. კომპანია ფილიალების საშუალებით ახდენს კლიენტთან უშუალო კომუნიკაციას. ლენდომ 2019 წლის იანვრიდან შეწყვიტა სესხების გაცემა.

კომპანიას საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

1. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ;
3. ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი;
4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი;

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

კომპანიას ძირითადი პროდუქტები

კომპანია სეგმენტაციას ახდენს ასაკის მიხედვით. სამიზნე სეგმენტს წარმოადგენენ 21-დან 75-წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გამოხატავენ სესხის აღების სურვილს.

2019 წლამდე მომხმარებლებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ კომპანიის შემდეგი პროდუქტით:

- მოკლევადიანი სესხი 30 დღის ვადით, აღნიშნული პროდუქტი განეკუთვნება მოკლევადიან არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხის კლასს. მომხმარებლებისათვის შეთავაზებული იყო სესხის მოქნილი პირობები, სესხის გაცემის ალტერნატიული გზები: ფილიალში ხელზე მიღება ან დისტანციურად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა (კლიენტის დისტანციური იდენტიფიკაციით), სესხის გაცემა ხდებოდა უმოკლეს ვადაში (საშუალო დრო 10 წთ.) გაცემული სესხების მოცულობა მაქსიმუმ 2,700 ლარს აღწევდა.
- ეროვნული ბანკის მიერ 2019 წელს დაწესებული ახალი რეგულიაციების შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება და 2019 წლის 1 სექტემბრიდან გრძელვადიან სესხებს შევუზღუდეთ გადავადება.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	3,295,648
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	12,945,297
არამატერიალური აქტივები		12,446
სხვა აქტივები	7	689,331
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	22,442
მთლიანი აქტივები		16,965,164
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	9	6,725,257
საგადასახადო ვალდებულება		95,681
სხვა ვალდებულებები		212,979
მთლიანი ვალდებულებები		7,033,917
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	10	24,603,638
დაგროვილი ზარალი		(14,672,391)
მთლიანი კაპიტალი		9,931,247
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		16,965,164

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019
საპროცენტო შემოსავალი	11	17,117,690
საპროცენტო ხარჯი	11	(2,907,334)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		14,210,356
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების წმინდა ცვლილება	6	1,238,686
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		15,449,042
წმინდა მოგება გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან	12	231,443
ჯარიმები და ადრე დაფარვის საკომისიო	13	2,019,692
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(5,651,859)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(1,478,083)
მოგება დაბეგვრამდე		10,570,235
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(550,049)
მთლიანი სრული შემოსავალი		10,020,186

კლიენტებზე გაცემული სესხები და ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კლიენტებზე გაცემული სესხები
გაცემული სესხები	16,158,971
დარიცხული პროცენტები	931,441
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	17,091,414
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(4,146,117)
წმინდა გაცემული სესხები	12,945,297

შპს მისო ლენდო

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
2019 წლის 1 იანვრისთვის	(20,727,078)
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	1,238,686
ჩამოწერები წლის განმავლობაში	15,342,275
2019 წლის 31 დეკემბერი	(4,146,117)

2019 წლის ბოლოს კომპანიას პორტფელმა შეადგინა 12,945,297 ლარი, რაც პერიოდის დასაწყისთან შედარებით შემცირებულია, თუმცა კომპანიამ შეინარჩუნა უზრუნველყოფის პოლიტიკა და გააუმჯობესა პორტფელის ხარისხი. ამავდროულად, ვალდებულებები შემცირდა 7,033,917 ლარამდე და კომპანიას კომპანიამ გაზარდა საწესდებო კაპიტალი 24,603,638 ლარამდე, რამაც გააუმჯობესა კომპანიას ლიკვიდურობა.

კომპანიას საპროცენტო შემოსავალი 2019 წელს შემცირდა 17,117,690 ლარამდე, მაშინ როდესაც 2018 წელს ამ რიცხვმა შეადგინა 48,625,320 ლარი. შემოსავლის კლება განპირობებული იყო 2019 წლის განმავლობაში პორტფელის მნიშვნელოვანი კლებით, ეროვნული ბანკის რეგულაციების გათვალისწინებით და ასევე შიდა გამკაცრებული პოლიტიკის გამო. ასევე, გაუფასურების შემოსავალმა შეადგინა 1,238,686 ლარი, ეს მნიშვნელოვანი ცვლილება გამოწვეული იყო გაუფასურებული სასესხო პორტფელის გაყიდვით.

ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა

ფინანსური კოეფიციენტები 2019 წლის მდგომარეობით:

ფინანსური კოეფიციენტები	2019
საშუალო სესხის პორტფელის ზომა	24,257,818
ლიკვიდური აქტივები/მთლიანი ვალდებულებები	46.85%
მთლიანი კაპიტალი/მთლიანი აქტივები	58.54%
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	72.65%
საექვო ვალების ანარიცხები/კლიენტებზე გაცემული სესხები	-24.26%
საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი	29.53%
უკუგება აქტივებზე	59.06%
უკუგება მთლიანი კაპიტალზე	100.90%
პორტფელის მომგებიანობა	83.14%
საპროცენტო ხარჯები/სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	22.46%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	47.00%
მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან	67.72%

- საშუალო სესხის პორტფელის ზომა გაანგარიშებულია შესაბამისი წლის საწყისი და საბოლოო პერიოდისთვის არსებული სესხის მოცულობის საშუალო არითმეტიკულით.
- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი წარმოდგენილია მთლიანი კაპიტალის შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს კომპანია განიხილავს როგორც მთლიან აქტივებს გამოკლებული ფულადი სახსრები. აღნიშნული კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 2019 წელს ვინაიდან წინა წელთან შედარებით კომპანიამ შეამცირა გაცემული სესხების პორტფელი, თუმცა ამავდროულად გაზარდა საკუთარი კაპიტალის მოცულობაც.
- საექვო ვალების ანარიცხების შეფარდება გაცემული სესხების მოცულობასთან გაზრდილია, ფასს 9 საშუალება მისცა კომპანიას ადეკვატურად განესაზღვრა საკრედიტო რისკები და მათი მართვის პროცედურები.
- პორტფელის მომგებიანობა (საპროცენტო შემოსავალი/საშუალო პორტფელი) შემცირებულია, რაც გამოწვეულია საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის შემცირებით.

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

- ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაანგარიშებულია, როგორც ფულადი სახსრების თანაფარდობა მთლიან ვალდებულებებთან. აღნიშნული კოეფიციენტი შემცირებულია რადგან წლის ბოლო მდგომარეობით კომპანიას მიერ პორტფელის გაყიდვიდან მიღებული ფულის საშუალებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი სახსრები, ამავდროულად დაიფარა სასესხო ვალდებულებების დიდი ნაწილი წინა პერიოდთან შედარებით.
- უკუგება აქტივებზე (მთლიანი სრული შემოსავალი/მთლიანი აქტივები) შემცირებულია რაც გამოწვეულია პორტფელის შემცირებისა და წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავლის მნიშვნელოვანი გაზრდით. უკუგება მთლიან კაპიტალზე (მთლიანი სრული შემოსავალი/მთლიანი კაპიტალი) გაზრდილია, რაც განპირობებულია სრული ზარალის შემცირებითა და საკუთარი კაპიტალის ზრდით. ძირითადი გავლენა ამაზე იქონია საკრედიტო რისკების პოლიტიკის ცვლილებამ(საექვო ვალების ანარიცხების ზრდა) და სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების გაზრდამ. კომპანია იმედოვნებს, რომ შესაძლებელია ახალი გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვის და საოპერაციო ხარჯების შენარჩუნება/შემცირების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლების ზრდა.
- მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან მნიშვნელოვნად გაზრდილია, რადგან მნიშვნელოვნად არის შემცირებული სასესხო ვალდებულება.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები -ლენდო 2019 წლის ბოლოსთვის დასაქმებულია 4 თანამშრომელი, საიდანაც 1 ქალია და 3 მამაკაცი. კომპანია სრულად გადავიდა გარე მომსახურების კომპანიაზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს საკმაოდ ძლიერი, ერთგული და გამოცდილი თანამშრომლებით დაკომპლექტებულ ორგანიზაციას;

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე - კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, კომპანია ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კორუფციასთან ბრძოლა - კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიასკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები - კომპანიას 2019 წლის მდგომარეობით არ ჩაუტარებია კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის უმთავრესი მიზანია, კლიენტებისთვის საიმედო საკრედიტო მომსახურების შეთავაზება მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებით.

კომპანიამ განახორციელა სტაბილური და დამაჯერებელი საქმიანობა 2019 წლისთვის. განახორციელა ფოკუსირება საკრედიტო პროდუქტებისა და სესხების პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე. საქმიანობის დიდი ნაწილი გადაიყვანა გარე კომპანიის მომსახურებაზე, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირა საკუთარი ხარჯები. კომპანიას აქვს დასახული შემდეგი სტრატეგიული მიდგომა:

- მომხმარებელთა იდენტიფიკაციის პროცესი განვითარდა დამატებითი იდენტიფიკაციის საშუალებების დანერგვით და გამოსაყენებელი საკრედიტო ბაზების გაფართოვებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება თაღლითობის საწინააღმდეგო საშუალებებზე. ამ ყველაფრის წყალობით, კომპანია მნიშვნელოვნად განავითარებს სასესხო პორტფელის ხარისხს.
- დიდი ძალისხმევა ჩაიდო შიდა კონტროლის სისტემის განვითარებაში, რითაც ხელი შეეწყო ფინანსური სექტორის ბრძოლას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ; lendo.ge პლატფორმამ შემოიღო უფრო მკაცრი AML/ CTF მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც გაუმჯობესდა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გაზრდის პროცედურები.

შვილობილის შესყიდვა

2020 წლის 21 იანვარს ორგანიზაციამ შეისყიდა შპს ბიარესის 100%-იანი წილი.

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი. 2020 წლის 8 ივნისიდან დაშვებულია ყველა ეკონომიკური საქმიანობა სოციალური დისტანციის დაცვითა და პირბადით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დაწესებული შეზღუდვების გამო.

ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია, თუმცა პანდემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის ზრდა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის გაუარესების გამო.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიას ფინანსური მხარისთვის. კომპანიის წინაშე არსებული რისკები, მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი, მსგავსად სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიას საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკები და პროცედურები. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება საზედამხედველო საბჭოს მიერ. კომპანია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

შპს მისო ლენდო

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

კომპანიას ყველა პროცენტის მატარებელი აქტივი და ვალდებულება აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ აქვს გავლენა კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ლიკვიდურობის რისკში - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით კომპანია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ეფუძნება კომპანიას ძირითადი მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

კონკურენტები - 2019 წლის განმავლობაში, ძირითადად ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების გამო, ფინანსურ ბაზარზე კონკურენტების რაოდენობა შემცირდა. რეგულაციებმა უარყოფითად იმოქმედა ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სიახლეზე. შესაბამისად, არსებულმა რეგულაციებმა გარკვეული კონკურენტები მიიყვანა ბიზნეს ოპერაციების შეჩერებამდე.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებელზე. შესაბამისად, მსგავსი რისკები ყოველთვის გასათვალისწინებელია საქართველოსთვის და მსგავსი ქვეყნებისთვის.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს მისო ლენდოს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლიკვიდატორი

/გიორგი ნაროუშვილი/

შპს მისო ლენდო

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

კომპანიას ყველა პროცენტის მატარებელი აქტივი და ვალდებულება აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ აქვს გავლენა კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ლიკვიდურობის რისკში - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით კომპანია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ეფუძნება კომპანიას ძირითადი მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

კონკურენტები - 2019 წლის განმავლობაში, ძირითადად ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების გამო, ფინანსურ ბაზარზე კონკურენტების რაოდენობა შემცირდა. რეგულაციებმა უარყოფითად იმოქმედა ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სიახლეზე. შესაბამისად, არსებულმა რეგულაციებმა გარკვეული კონკურენტები მიიყვანა ბიზნეს ოპერაციების შეჩერებამდე.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებელზე. შესაბამისად, მსგავსი რისკები ყოველთვის გასათვალისწინებელია საქართველოსთვის და მსგავსი ქვეყნებისთვის.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს მისო ლენდოს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლიკვიდატორი

გიორგი ნაროუშვილი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2019 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	11
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
6. კლიენტებზე გაცემული სესხები	17
7. სხვა აქტივები	18
8. გადასახადები	18
9. მიღებული სესხები	19
10. საწესდებო კაპიტალი.....	19
11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....	19
12. წმინდა მოგება გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან	20
13. ჯარიმები და ადრე დაფარვის საკომისიო	20
14. საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	20
15. პირობითი ვალდებულებები.....	21
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	21
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	23



T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდოს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდოს (შემდგომში - 'ორგანიზაცია') თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მე-2 შენიშვნაში წარმოდგენილი მომზადების საფუძვლების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ფუნქციონირებადი საწარმო

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2019 წლის იანვრიდან ორგანიზაციამ შეწყვიტა სესხების გაცემა და ძირითადად ორიენტირებული იყო აღნიშნულ თარიღამდე გაცემული სესხების ამოღებაზე. ასევე, როგორც მე-17 შენიშვნაშია აღნიშნული, მიმდინარეობს ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესი და ორგანიზაციას შეუწყდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი. შესაბამისად, ორგანიზაცია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას არ ამზადებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.



ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და დასკვნის გავრცელების და გამოყენების შეზღუდვა

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის დასახმარებლად, რათა დააკმაყოფილოს ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნები. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის. ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ ორგანიზაციისა და ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოებისთვის და ის არ უნდა გავრცელდეს და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მე-2 შენიშვნაში გაშიფრული საფუძვლების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი, 2020

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	3,295,648
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	12,945,297
არამატერიალური აქტივები		12,446
სხვა აქტივები	7	689,331
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	22,442
მთლიანი აქტივები		16,965,164
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	9	6,725,257
საგადასახადო ვალდებულება		95,681
სხვა ვალდებულებები		212,979
მთლიანი ვალდებულებები		7,033,917
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	10	24,603,638
დაგროვილი ზარალი		(14,672,391)
მთლიანი კაპიტალი		9,931,247
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		16,965,164

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლიკვიდატორი

გიორგი ნაროუშვილი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	3,295,648
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	12,945,297
არამატერიალური აქტივები		12,446
სხვა აქტივები	7	689,331
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	22,442
მთლიანი აქტივები		16,965,164
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	9	6,725,257
საგადასახადო ვალდებულება		95,681
სხვა ვალდებულებები		212,979
მთლიანი ვალდებულებები		7,033,917
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	10	24,603,638
დაგროვილი ზარალი		(14,672,391)
მთლიანი კაპიტალი		9,931,247
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		16,965,164

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლიკვიდატორი

გიორგი ნაროშვილი

10-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019
საპროცენტო შემოსავალი	11	17,117,690
საპროცენტო ხარჯი	11	(2,907,334)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		14,210,356
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების წმინდა ცვლილება	6	1,238,686
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		15,449,042
წმინდა მოგება გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან	12	231,443
ჯარიმები და ადრე დაფარვის საკომისიო	13	2,019,692
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(5,651,859)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(1,478,083)
მოგება დაბეგვრამდე		10,570,235
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(550,049)
მთლიანი სრული შემოსავალი		10,020,186

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2019 წლის 1 იანვარი	16,239,968	(24,692,577)	(8,452,609)
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
- ფულადი შენატანით	8,363,670	-	8,363,670
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,020,186	10,020,186
2019 წლის 31 დეკემბერი	24,603,638	(14,672,391)	9,931,247

10-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე		10,570,235
კორექტირებები:		
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების წმინდა ცვლილება	6	(1,238,686)
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		(4,583,759)
ამორტიზაცია		6,759
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		1,478,083
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		6,232,632
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
კლიენტებზე გაცემული სესხები		23,627,612
სხვა აქტივები		(602,690)
საგადასახადო ვალდებულება		236,614
სხვა ვალდებულებები		(8,168,568)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		21,325,600
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
არამატერიალური აქტივების შეძენა		(5,762)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,762)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
წმინდა ცვლილება მიღებულ სესხებში		(34,225,326)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	8,363,670
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		(25,861,656)
წმინდა შემცირება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(4,541,818)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		8,022,417
გაცვლითი კურსის ცვლილების წმინდა ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(184,951)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		3,295,648

10-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო (შემდგომში - „ორგანიზაცია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2015 წლის 8 დეკემბერს. ორგანიზაცია რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404504844.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაცია მომხმარებელს სთავაზობდა სესხებს 30-დან 720 დღემდე ვადით. 2019 წლიდან ორგანიზაციამ შეწყვიტა სესხების გაცემა (მე-2 შენიშვნა).

ორგანიზაციის 100%-იანი წილის მფლობელია დსს უნივერსალური საკრედიტო ორგანიზაცია "ვარკს ეიემ". 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია ცოტნე დადიანის ქუჩა #7, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კლასიფიკაციის, აღიარებისა და დაანგარიშების პრინციპების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გამჟღავნებულია მე-18 განმარტებით შენიშვნაში. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების და სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებული საუკეთესო ცოდნა.

ორგანიზაცია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. თანხობრივი მაჩვენებლები სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია დამრგვალებების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

2019 წლის იანვრიდან ორგანიზაციამ შეწყვიტა სესხების გაცემა და ძირითადად ორიენტირებული იყო აღნიშნულ თარიღამდე გაცემული სესხების ამოღებაზე. სესხების გაცემის შეწყვეტის მთავარი მიზეზი იყო მნიშვნელოვანი აკუმულირებული ზარალი და ეროვნული ბანკის მხრიდან დადგენილი მკაცრი რეგულაციები. შედეგად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. დამატებითი ინფორმაცია ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ განმარტებულია მე-17 შენიშვნაში.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არც ერთი აქტივის რეალიზაცია არ მოხდება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები თანხით. შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არ დაკორექტირებულა აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება და არ შეცვლილა მათი კლასიფიკაცია. ასევე, არ მომხდარა ცვლილებები ვალდებულებების კლასიფიკაციაში. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით

გადასახადები

ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახდო შემოწმებისას. შედეგად ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახდო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ. საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა სესხების გაცემა წარმოადგენდა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტების რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებას და მათ ეფექტურად მართვას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები
კლიენტებზე გაცემული სესხები
სხვა აქტივები

31 დეკემბერი 2019

3,295,648

12,945,297

666,580

16,907,525

ორგანიზაციის საკრედიტო რისკი კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

დეფოლტის განსაზღვრება - ორგანიზაცია აღიარებს დეფოლტს იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- ფორსმაჟორი, როცა კლიენტი ხდება გადახდისუუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელიც კონტროლს არ ექვემდებარება.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა - იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და ასევე მომავლის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და
- არ ფიქსირდება რეზერვში არასასურველი მერყეობა 12 თვიან და არსებობის მანძილზე არსებულ დეფოლტის ალბათობებს შორის.

საპროგნოზო ინფორმაცია - ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ECL -ის გაზომვა - ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი ცვლადები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

- დეფოლტის ალბათობა (PD)

PD არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

PD-ს შეფასება ხდება სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას.

- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD-ს პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით დეფოლტის გამომწვევი მიზეზების საპირწონედ. LGD-ის მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ თანხის შემოდინებებს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

LGD გაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ მოსალოდნელ რისკს. ორგანიზაცია EAD-ს განსაზღვრავს ხელშემკვრელი მხარის მიმდინარე რისკზე და ხელშეკრულებით დაშვებული მიმდინარე თანხაში პოტენციურ ცვლილებებზე, მათ შორის ამორტიზაციაზე დაყრდნობით. ფინანსური აქტივის EAD არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	1,265,993	5,459,264	6,725,257
სხვა ვალდებულებები	172,936	-	172,936
	1,438,929	5,459,264	6,898,193

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,292,403	3,245	3,295,648
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,945,297	-	12,945,297
სხვა აქტივები	666,580	-	666,580
	16,904,280	3,245	16,907,525
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	6,725,257	6,725,257
სხვა ვალდებულებები	118,660	54,276	172,936
	118,660	6,779,533	6,898,193
ღია საბალანსო პოზიცია	16,785,620	(6,776,288)	10,009,332

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20%-იანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. გავლენა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	(ლარი / ევრო)
20% ზრდა	(1,355,258)
20% შემცირება	1,355,258

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა ორგანიზაციაზე. იგი წარმოადგენს ორგანიზაციის იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯამს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელთაც შესაბამისად ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.

	31 დეკემბერი 2019
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	16,240,945
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(6,725,257)
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ღია პოზიცია	9,515,688

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში მოცემულ ინფორმაციაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზს.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ისა და მსესხებლის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	404,117
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	2,858
ფული გზაში*	2,888,673
	3,295,648

*ფული გზაში მოიცავს ქვეკონტრაქტორის ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს, რომლებსაც იხდიან მომხმარებლები გადახდის ტერმინალებში. აღნიშნული თანხები ორგანიზაციას მოგვიანებით გადაეცემა პროვაიდერების საშუალებით.

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2019
სესხის ძირი	16,158,971
დარიცხული პროცენტი	932,443
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფასურებამდე	17,091,414
გამოკლებული: გაუფასურების ანარიცხი	(4,146,117)
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,945,297

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილი შემდეგნაირად:

	მთლიანი კლიენტებზე გაცემული სესხები	გაუფასურების ანარიცხი	ნაშთი წლის ბოლოს
ვადაგადაცილების გარეშე	13,161,990	(805,523)	12,356,467
90 დღემდე ვადაგადაცილებული	927,601	(439,760)	487,841
90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	3,001,823	(2,900,834)	100,989
	17,091,414	(4,146,117)	12,945,297

გაუფასურების ანარიცხის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(20,727,078)
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	1,238,686
ჩამოწერები წლის განმავლობაში	15,342,275
ნაშთი წლის ბოლოს	(4,146,117)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები	
მოთხოვნა კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელის რეალიზაციიდან	666,580
	666,580
არაფინანსური აქტივები	
გაცემული ავანსები	22,751
	689,331

8. გადასახადები

	1 იანვარი 2019	აღიარებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2019
დროებითი სხვაობები:			
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,109,062	(3,109,062)	-
მიღებული სესხები	127,102	(117,361)	9,741
სხვა ვალდებულებები	1,106,265	(1,093,564)	12,701
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	1,832,353	328,082	2,160,435
	6,174,782	(3,991,905)	2,182,877
აღიარებული დროებითი სხვაობები			
კლიენტებზე გაცემული სესხები	(3,109,062)	3,109,062	-
სხვა ვალდებულებები	(780,876)	780,876	-
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	(1,832,353)	(328,082)	(2,160,435)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	452,491	(430,049)	22,442

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარებულია მხოლოდ იმ დროებითი სხვაობების საფუძველზე, რომლებზეც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გამოიყენებს პროგნოზირებად მომავალში.

მოგების გადასახადის ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
მიმდინარე მოგების გადასახადი	(120,000)
დროებითი სხვაობების ეფექტი	(430,049)
	(550,049)

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2019
მოგება დაბეგვრამდე	10,570,235
საგადასახადო განაკვეთი	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	(1,585,535)
აღიარებული საგადასახადო აქტივის ეფექტი	(328,082)
წინა წლებში აღიარებული საგადასახადო აქტივის ეფექტი	3,889,938
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(2,526,370)
	(550,049)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2019
მიღებული სესხები	6,660,317
დარიცხული პროცენტი	64,940
	6,725,257

საკუთარი ბიზნესის დაფინანსებისათვის ორგანიზაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთდაკავშირების პლატფორმასთან. აღნიშნული პლატფორმა ინვესტორებს და სესხის გამცემ ორგანიზაციებს აკავშირებს ერთმანეთთან. ეს არის ტრადიციული საბანკო სისტემის მარტივი და გამჭვირვალე ალტერნატივა.

პლატფორმის დახმარებით ინვესტორებს საშუალება ეძლევათ ევროპის მასშტაბით გაცემული სესხები დააფინანსონ. ამავდროულად, სესხის გამცემს (ამ შემთხვევაში ორგანიზაციას) შეუძლია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ინვესტორებს, რომლებსაც სურთ არსებული სესხების დაფინანსება.

აღნიშნული პლატფორმის საშუალებით მიღებული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი არის 13%. დაფარვის ვადა პლატფორმაზე განთავსებული სესხებისთვის განსხვავებულია და მერყეობს ერთიდან 24 თვემდე.

მიღებული სესხების სახელშეკრულებო ვადების და სავალუტო ანალიზი მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ინფორმაცია მიღებული სესხების დაფარვის შესახებ იხილეთ მე-17 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ნაკადებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	41,790,379
მიღებული და გადახდილი სესხები	(34,225,326)
გადახდილი პროცენტი	(4,053,103)
არაფულადი ნაკადები:	
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2,907,334
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	305,973
ნაშთი წლის ბოლოს	6,725,257

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 ივლისიდან 10 დეკემბრის ჩათვლით ორგანიზაციის მფლობელმა საწესდებო კაპიტალი გაზარდა ფულადი შენატანით 8,363,670 ლარის ოდენობით.

11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოქმნილია:	2019
კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	17,103,834
ბანკში განთავსებული თანხებიდან	13,856
	17,117,690
საპროცენტო ხარჯი წარმოქმნილია:	
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხებიდან	(353,383)
სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებიდან	(2,553,951)
	(2,907,334)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	14,210,356

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. წმინდა მოგება გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან

	2019
გაყიდვიდან მიღებული ანაზღაურება	1,838,331
გაყიდული სესხების წმინდა ღირებულება:	
გაყიდული სესხების მთლიანი ღირებულება	16,949,163
გაყიდული სესხების გაუფასურების ანარიცხი	(15,342,275)
	1,606,888
წმინდა მოგება გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან	231,443

2019 წელს პორტფელის რეალიზაცია მოხდა არადაკავშირებულ ფაქტორინგულ კომპანიებზე.

13. ჯარიმები და ადრე დაფარვის საკომისიო

	2019
ჯარიმები	1,862,121
ადრე დაფარვის საკომისიო	133,601
სხვა	23,970
	2,019,692

14. საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019
მომხმარებელთა მომსახურების ხარჯი*	(2,191,077)
განაცხადის განხილვისა და სესხის ამოღების ხარჯი	(1,322,645)
კომპიუტერულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(760,294)
სხვა ფინანსური ხარჯი**	(414,073)
მარკეტინგული ხარჯები	(276,784)
პროფესიული მომსახურება***	(272,726)
თანამშრომელთა ანაზღაურება	(151,746)
იჯარა და კომუნალური გადასახადები	(17,476)
ბანკის საკომისიო	(20,754)
სხვა	(224,284)
	(5,651,859)

*2018 წლის 30 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ბიარესი“ ორგანიზაციას უწევს შემდეგი ტიპის მომსახურებებს: მარკეტინგი, მომხმარებელთა მომსახურება, ფინანსური, ვადაგადაცდილებული პორტფელის მართვასა და კომპიუტერულ მომსახურებას.

**სხვა ფინანსური ხარჯი მოიცავს ურთიერთდაკავშირების პლატფორმიდან მიღებულ შუამავლობის სერვისის ხარჯს. დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-9 შენიშვნაში.

***პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული კომპანიებისათვის აუდიტისა და სხვა პროფესიული სერვისების ასანაზღაურებლად გაწეულ საფასურს 90,780 ლარის ოდენობით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

15. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

ორგანიზაციის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაცია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ორგანიზაცია ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2019 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების არე	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
საპროცენტო ხარჯი	(353,383)	-
საერთო ადმინისტრაციული და სხვა	-	(78,456)
საოპერაციო ხარჯები		

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება.

2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი. 2020 წლის 8 ივნისიდან დაშვებულია ყველა ეკონომიკური საქმიანობა სოციალური დისტანციის დაცვითა და პირბადით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია, თუმცა პანდემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის ზრდა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის გაუარესების გამო.

შვილობილის შესყიდვა

2020 წლის 20 იანვარს ორგანიზაციამ შეისყიდა შპს ბიარესის 100%-იანი წილი.

ლიკვიდაცია

2020 წლის 21 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მიერ გამოცემული N267 განკარგულების მიხედვით გაუქმდა, ორგანიზაციის მიკროსაფინანსოს რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით - 1140217, დაინიშნა ლიკვიდატორი და დაიწყო მისი ლიკვიდაციის პროცესი. ანგარიშგების ხელმოწერისას, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის უცნობი იყო ლიკვიდაციის პროცესის დასრულების ზუსტი თარიღი.

მიღებული სესხების დაფარვა

2020 წლის 31 ივლისამდე ორგანიზაციამ სრულად გადაიხადა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ევროში მიღებული სესხი.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ორგანიზაციის პოლიტიკის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI-ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის, ან
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდის უუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების;

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაცია

საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

PD დაანგარიშდება 90 დღის განმავლობაში პორტფელის ისტორიული ცვლილების მონაცემების საშუალებით. ამ მონაცემების გამოყენებით ხდება მონაცემთა მატრიცის შექმნა (3-თვის ცვლილება). საბოლოო PD კოეფიციენტი შეფასებულია, როგორც ბოლო 6 თვის საშუალო შეწონილი.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD პარამეტრებს გადეფოლტებული სესხების ამოღების ისტორიის მიხედვით. LGD მეთოდი მოიცავს დეფოლტიდან 12 თვის შემდეგ ფულად ნაკადებს. LGD გაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციამ თავისი ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიციროს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ორგანიზაციას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს სტანდარტი, რომელიც სპეციალურად საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს სააღრიცხვო პოლიტიკა აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის შესაბამისი პრაქტიკის მიხედვით.

მსჯელობის დროს ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს და გაითვალისწინოს შემდეგი წყაროების გამოყენების შესაძლებლობა იერარქიულად:

- სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; და
- სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები და შეფასების კონცეფციები.

ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია მხედველობაში მიიღოს უკანასკნელი ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ეკუთვნის სტანდარტების დამდგენ სხვა ორგანიზაციას, რომელიც იყენებს მსგავს კონცეპტუალურ ბაზას სააღრიცხვო სტანდარტების შექმნისას, ასევე სხვა სააღრიცხვო ლიტერატურა და დარგში მიღებული პრაქტიკა იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მიიღება ინფორმაცია, რომელიც:

ა) შეესაბამება მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროებას; და

ბ) საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება:

- სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;
- ნეიტრალურია, ე.ი. თავისუფალია სუბიექტური დამოკიდებულებისაგან;
- არის წინდახედული; და
- არის დასრულებული ყველა არსებით ასპექტში.

აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია იყენებს საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდს. საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, შემძენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს გადმოცემული საწარმოს საბალანსო ღირებულებების გამოყენებით და არა აქტივების და ვალდებულებების რეალურ ღირებულებამდე აფასებით.

გადმოცემის დღის მდგომარეობით სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს კაპიტალის ცვლილებით: უნდა მოხდეს გაუნაწილებელი მოგების დაკორექტირება ან განცალკევებული რეზერვის შექმნა. ოპერაციის შედეგად არ ხდება გუდვილის აღიარება.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის მიერ საბალანსო ღირებულებები განისაზღვრება გადმოცემული საწარმოს ფინანსური ანგარიშგებიდან.

2019 წლის მარტში მოხდა ორგანიზაციისა და მისი შვილობილი კომპანიის გაერთიანება, რის შედეგადაც შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდომ შეირჩა შპს ტიო. ორგანიზაციამ ამოწვა შპს ტიოსთან არსებული ნაშთები და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინა გადაანგარიშებული, საერთო მონაცემები ისე, თითქოს გაერთიანება მოხდა ანგარიშგებაში წარდგენილი საწყისი პერიოდის დადგომამდე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ხელმძღვანელობა პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ორგანიზაცია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, დროებითი განსხვავებების წარმოქმნისას აქტივებსა და ვალდებულებებისგან წარმოქმნილ საგადასახადო ბაზასა და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ საბალანსო მაჩვენებელს შორის. რადგან გადავადებული საგადასახადო აქტივი არ დაანგარიშდება, როდესაც აღიარდა აქტივი ან ვალდებულება, მას არ ექნება გავლენა არც ფინანსურ და არც საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთით (და კანონმდებლობით) რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საბალანსო უწყისის თარიღისთვის და მოსალოდნელია მისი გამოყენება, როდესაც მასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი მიიღება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოიქმნება.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), როცა მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ორგანიზაციას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ორგანიზაციიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ორგანიზაციიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სესხის გაცემის საკომისიოს და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირებაა მომავალში გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ან, სადაც შესაფერისია, მოკლე პერიოდში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ორგანიზაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების ყველა პირობას, გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია გადახედავს მის მოლოდინს გადახდილ ან მისაღებ ყველა სახის გადასახდელის შესახებ. კორექტირებული საბალანსო ღირებულება დაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით და სხვაობა აღიარდება საპროცენტო შემოსავლად ან ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს პროცენტს და გადახდილ ან გადასახდელ საკომისიოს, რომელიც გაითვალისწინება კლიენტებზე გაცემულ სესხებზე და საბანკო დეპოზიტებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას.

თუ ფინანსური აქტივის ან ერთგვაროვან აქტივთა ჯგუფის ღირებულება გაუფასურების ზარალის გამო მცირდება, საპროცენტო შემოსავალი გაანგარიშდება დღეგანდელი ღირებულების გათვალისწინებით (რომელიც არის ღირებულებას გამოკლებული ღირებულების კორექტირება) და მისი აღიარება გრძელდება იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოყენებულია მომავალი ფულადი ნაკადების დადისკონტირებისთვის გაუფასურების ხარჯის გასაზომად.

საპროცენტო ხარჯი მოიცავს სხვა მხარისგან აღებულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს ან საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სხვა ჯარიმები და საკომისიოები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სესხების, ავანსებისა და სხვა მოთხოვნების შიდა უკუგების განაკვეთთან არ აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით, არამედ წრფივად გადანაწილდება პერიოდზე ან სრულად აღიარდება მიღების მომენტში. წრფივად გადანაწილება ან ერთჯერადად აღიარება დამოკიდებულია საკომისიოების და ჯარიმების შინაარსზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც ორგანიზაციის თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით და გაზრდილია შემდეგით:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის ან საიჯარო აქტივის აღსადგენად

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იზრდება საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღის.

როდესაც ორგანიზაცია შეასწორებს იჯარის ვადის შეფასებას (მაგალითად, იჯარის ვადის გახანგრძლივების ან შეწყვეტის უფლების გადახედვის შესახებ შეფასებას), ის აკორექტირებს საიჯარო ვალდებულებას განახლებული ვადის განმავლობაში წარმოქმნილი გადახდების მიხედვით, რომლიც დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განახლებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე შესწორდება თუ ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებული ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით იცვლება. ორივე შემთხვევაში შესაბამისი თანხით კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და შესწორებული საბალანსო ღირებულება გაიცივება დარჩენილი (განახლებული) იჯარის ვადის პერიოდზე.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ორგანიზაციის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.